

საავტორო უფლებების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულების (1996 წ.)

მოკლე მიმოხილვა

აღნიშნული ხელშეკრულება წარმოადგენს ბერნის კონვენციის ფარგლებში მოქმედ სპეციალურ შეთანხმებას. მისი მონაწილე ყველა სახელმწიფო (თუნდაც ის არ იყოს ბერნის კონვენციის წევრი) ვალდებულია დააკმაყოფილოს 1886 წლის ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის პარიზის 1971 წლის აქტის მატერიალური ნორმები.

ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ორი სახის ობიექტის დაცვა საავტორო უფლებით, ესენია: 1) კომპიუტერული პროგრამები, მათი გამოსახვის ხერხისა და ფორმისაგან დამოუკიდებლად და 2) მონაცემებისა და სხვა მასალების ("მონაცემთა ბაზების") კომპილაცია ნებისმიერი ფორმით, რაც მათი შინაარსის შერჩევის ან განლაგების გამო წარმოადგენს ინტელექტუალური შემოქმედების შედეგს. (თუ მონაცემთა ბაზა არ წარმოადგენს ინტელექტუალური შემოქმედების შედეგს, მაშინ ის სცილდება ხელშეკრულების დაცვის ფარგლებს).

რაც შეეხება ავტორთა უფლებებს, ხელშეკრულება განიხილავს: 1) გავრცელების უფლებას; 2) გაქირავების უფლებას და 3) ნაწარმოების საჯარო გაცნობის უფლებას. თითოეული ეს უფლება წარმოადგენს განსაკუთრებულ უფლებას, გარკვეული შეზღუდვებისა და გამონაკლისების გათვალისწინებით.

გავრცელების უფლება წარმოადგენს ნაწარმოების ორიგინალის ან ასლების საჯაროდ ხელმისაწვდომობაზე ნებართვის მიცემის უფლებას საკუთრების უფლების გაყიდვის ან სხვაგვარად გადაცემის გზით.

გაქირავების უფლება წარმოადგენს სამი სახის ნაწარმოების ორიგინალის ან ასლების საზოგადოებისათვის კომერციული მიზნით გაქირავებაზე ნებართვის მიცემის უფლებას. ეს ნაწარმოებებია: 1) კომპიუტერული პროგრამები (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომპიუტერული პროგრამა თავისთავად არ წარმოადგენს გაქირავების არსებით ობიექტს); 2) კინემატოგრაფიული ნაწარმოებები (მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც კომერციული გაქირავების გამო ნაწარმოებების რეპროდუცირება ფართოდ გავრცელდა და მატერიალურად იქნა შელახული რეპროდუცირების განსაკუთრებული უფლება, 3) ნაწარმოებები, რომლებიც

მატერიალიზებულია ფონოგრამებში, როგორც ეს ხელშეკრულების მონაწილე მხარეების ეროვნულ კანონმდებლობაშია განსაზღვრული (გარდა იმ ქვეყნებისა, რომლებშიც 1994 წლის 15 აპრილიდან ასეთი გაქირავებისთვის სათანადო ანაზღაურების სისტემა ამოქმედდა).

საჯარო გაცნობის უფლება წარმოადგენს საჯაროდ სადენიანი ან უსადენო კავშირგაბმულობის საშუალებებით ნაწარმოების გადაცემაზე ნებართვის მიცემის უფლებას, მათ შორის – "ნაწარმოებების საჯაროდ ხელმისაწვდომობაზე ნებართვის მიცემის უფლებას, როდესაც ნებისმიერ პირს მიუწვდება ხელი ნაწარმოებზე მისთვის სასურველი ადგილიდან და მისთვის სასურველ დროს". ეს უკანასკნელი, კერძოდ, გულისხმობს ინტერაქტიული გზით ხელმისაწვდომობას, ინტერნეტის საშუალებით, მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისად.

ხელშეკრულება მონაწილე მხარეებს ავალდებულებს, ეროვნული კანონმდებლობით გაითვალისწინონ სანქციები იმ ტექნოლოგიური საშუალებების (მაგალითად დაშიფვრის) გვერდის ავლის წინააღმდეგ, რომელიც გამოიყენება ავტორების მიერ უფლებებით სარგებლობასთან დაკავშირებით და ისეთი ინფორმაციის გადაკეთების ან წაშლის საწინააღმდეგოდ, როგორცაა ნაწარმოების ავტორთა იდენტიფიცირების მონაცემები, რომლებიც საჭიროა მათი უფლებების (მაგ., ლიცენზირების, ჰონორარების ამოღებისა და განაწილების) მართვისათვის ("უფლებების მართვის განკუთვნილი ინფორმაცია").

ხელშეკრულება თითოეულ მონაწილე მხარეს ავალდებულებს ისეთი სამართლებრივი ღონისძიებების გატარებას, როგორც უზრუნველყოფს ხელშეკრულების ამოქმედებას. კერძოდ: მონაწილე მხარისათვის სავალდებულოა ეროვნული კანონმდებლობით გაითვალისწინოს უფლებების განხორციელების ეფექტური პროცედურები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებათა დარღვევის აღსაკვეთად. აღნიშნული პროცედურები უნდა შეიცავდეს სასწრაფო ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას დარღვევის აღსაკვეთად და ღონისძიებებს, რომლებიც შემდგომ დარღვევებს შეაჩერებს.

ხელშეკრულების საფუძველზე იქმნება მონაწილე მხარეების ასამბლეა, რომლის მთავარი ამოცანაა ხელშეკრულების განხორციელებასა და

განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. ასამბლეა ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული საკითხების განხილვას ანდობს ისმოს სამდივნოს.

ხელშეკრულება ღიაა ისმოსა და ევროგაერთიანების წევრი სახელმწიფოებისათვის. ხელშეკრულების საფუძველზე ჩამოყალიბებულ ასამბლევას შეუძლია ხელშეკრულებაში გასაწევრიანებლად სხვა სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებსაც უხმოს.

ხელშეკრულება ძალაში შევა მას შემდეგ, რაც წარდგენილი იქნება სახელმწიფოთა მიერ რატიფიკაციის ან მიერთების 30 დოკუმენტი. ეს დოკუმენტები უნდა წარედგინოს ისმოს გენერალურ დირექტორს, რომელიც ამ ხელშეკრულებისათვის ნდობით აღჭურვილ პირს წარმოადგენს.

ყოველმა მონაწილე მხარემ (მათ შორის იმ მხარეებმაც, რომლებიც არ არიან ბერნის კონვენციის წევრები) უნდა დააკმაყოფილოს ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის (1886 წ) 1971 წლის (პარიზის) აქტის მატერიალური ნაწილის დებულებები.

ხელშეკრულება (რომლის სრული ვერსია გამოქვეყნებულია ვებ-საიტზე www.wipo.int/treaties) დაიდო 1996 წლის 20 დეკემბერს ჟენევაში. 1997 წლის 31 დეკემბრისათვის მასზე ხელი მოწერილი ჰქონდა 50 სახელმწიფოს და ევროგაერთიანებას.

ისმო-ს ხელშეკრულება საავტორო უფლებების შესახებ (WCT)
მიღებული ქენევაში 1996 წ. 20 დეკემბერს

შინაარსი

პრეამბულა

კავშირი ბერნის კონვენციასთან

საავტორო უფლებების დაცვის ფარგლები

ბერნის კონვენციის მუხლების 2 – 6 გამოყენება

კომპიუტერული პროგრამები

მონაცემთა კომპილაციები (მონაცემთა ბაზები)

გავრცელების უფლება

გაქირავების უფლება

საჯარო გადაცემის უფლება

ფოტოგრაფიული ნაწარმოებების დაცვის ხანგრძლივობა

შეზღუდვები და გამონაკლისები

ვალდებულებები ტექნიკურ ღონისძიებებთან დაკავშირებით

ვალდებულებები უფლებების მართვის ინფორმაციასთან დაკავშირებით

გამოყენება დროში

დებულებები უფლებების განხორციელების შესახებ

ასამბლეა

საერთაშორისო ბიურო

ხელშეკრულებაში მონაწილეობის უფლება

უფლებები და ვალდებულებები ხელშეკრულების შესაბამისად

ხელშეკრულების ხელმოწერა

ხელშეკრულების ძალაში შესვლა

ხელშეკრულებაში მონაწილეობის ძალაში შესვლის თარიღი

ხელშეკრულებაში დათქმების დაუშვებლობა

ხელშეკრულების დენონსირება

ხელშეკრულების ენები

დეპოზიტარი

პრეამბულა

მონაწილე სახელმწიფოებმა,

რომელთაც სურთ, განავითარონ და შეინარჩუნონ ავტორების უფლებების დაცვა მათ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე რაც შეიძლება ეფექტური და ერთგვაროვანი გზით,

აღიარებენ რა ახალი საერთაშორისო წესების შემოღებისა და გარკვეული არსებული წესების ინტერპრეტაციის დაზუსტების საჭიროებას იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და ტექნოლოგიურ განვითარებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი საკითხების ადეკვატური გადაწყვეტილებები,

აღიარებენ რა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებისა და დაახლოების საფუძვლიან გავლენას ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების შექმნასა და გამოყენებაზე,

ხაზს უსვამენ რა საავტორო უფლებების დაცვის, როგორც ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედების სტიმულის, გამორჩეულ მნიშვნელობას,

აღიარებენ რა ბალანსის შენარჩუნების საჭიროებას ავტორთა უფლებებსა და ფართო საზოგადოების ინტერესს შორის, კერძოდ, განათლების, კვლევისა და ინფორმაციის წვდომის სფეროში, როგორც ასახულია ბერნის კონვენციაში, შეთანხმდნენ შემდეგზე:

შესავალი დებულებები

მუხლი 1

კავშირი ბერნის კონვენციასთან

(1) ეს ხელშეკრულება წარმოადგენს სპეციალურ შეთანხმებას ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციის მუხლის 20 გარეშით, მონაწილე მხარეებთან დაკავშირებით, რომლებიც არიან ამ კონვენციით დაფუძნებული კავშირის წევრები. ამ ხელშეკრულებას არ აქვს რაიმე კავშირი სხვა ხელშეკრულებებთან, ბერნის კონვენციის გარდა, და იგი არ ლახავს რომელიმე სხვა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ არანაირ უფლებებსა და მოვალეობებს.

(2) არაფერი ამ ხელშეკრულებაში არ ამცირებს არსებულ ვალდებულებებს, რომლებიც მონაწილე მხარეებს აქვთ ერთმანეთის მიმართ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციის შესაბამისად.

(3) შემდგომ „ბერნის კონვენცია“ აღნიშნავს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციის 1971 წ. 24 ივლისის პარიზის აქტს.

(4) მონაწილე მხარეები ასრულებენ ბერნის კონვენციის მუხლებს 1 - 21 და დანართს.

მუხლი 2

საავტორო უფლებების დაცვის ფარგლები

საავტორო უფლებები ვრცელდება გამოხატვის ფორმებზე და არა იდეებზე, პროცედურებზე, ექსპლუატაციის მეთოდებსა ან მათემატიკურ კონცეფციებზე, როგორც ასეთი.

მუხლი 3

ბერნის კონვენციის მუხლების 2 – 6 გამოყენება

მონაწილე მხარეები იყენებენ *mutatis mutandis* ბერნის კონვენციის მუხლების 2–6 დებულებებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაცვასთან მიმართებით.

მუხლი 4

კომპიუტერული პროგრამები

კომპიუტერული პროგრამები დაცულია როგორც ლიტერატურის ნაწარმოებები ბერნის კონვენციის მუხლის 2 გაგებით.

მუხლი 5

მონაცემთა კომპილაციები (მონაცემთა ბაზები)

მონაცემების ან სხვა მასალების კომპილაციები, ნებისმიერი ფორმით, რომლებიც შინაარსის შერჩევასა და განლაგების გამო ინტელექტუალური შემოქმედების შედეგს წარმოადგენს, დაცულია როგორც ასეთი. ასეთი დაცვა არ ვრცელდება თვით მონაცემებსა ან მასალაზე და არ ლახავს კომპილაციაში შემავალი მონაცემებისა ან მასალების რომელიმე საავტორო უფლებას.

მუხლი 6

გავრცელების უფლება

(1) ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ავტორები სარგებლობენ განსაკუთრებული უფლებით გასცენ ნებართვა თავიანთი ნაწარმოებების ორიგინალისა და ასლების საჯარო გაცნობაზე გაყიდვის ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის გზით.

(2) არაფერი ამ ხელშეკრულებაში არ ახდენს გავლენას მონაწილე მხარეთა თავისუფლებაზე განსაზღვრონ პირობები, თუ არსებობს ასეთი, რომელთა მიხედვით პუნქტით (1) გათვალისწინებული უფლების ამოწურვა გამოიყენება ნაწარმოების ორიგინალისა ან ასლის პირველი გაყიდვის ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის შემდეგ, ავტორის ნებართვით.

მუხლი 7

გაქირავების უფლება

(1) ავტორები

(i) კომპიუტერული პროგრამებისა;

(ii) კინემატოგრაფიული ნაწარმოებებისა; და

(iii) ფონოგრამებში განხორციელებული ნაწარმოებები, როგორც განსაზღვრულია მონაწილე მხარეების ეროვნული კანონმდებლობით,

სარგებლობენ განსაკუთრებული უფლებით გასცენ ნებართვა თავიანთი ნაწარმოებების ორიგინალისა და ასლების კომერციულ საზოგადო გაქირავებაზე.

(2) პუნქტი (1) არ გამოიყენება

(i) კომპიუტერული პროგრამების შემთხვევაში, როცა თვით პროგრამა არაა გაქირავების არსებითი ობიექტი; და

(ii) კინემატოგრაფიული ნაწარმოებების შემთხვევაში, თუ ასეთმა კომერციულმა გაქირავებამ არ გამოიწვია ასეთი ნაწარმოებების ასლების ფართო დამზადება, რაც არსებით ზიანს აყენებს რეპროდუცირების უფლებას.

(3) პუნქტის (1) დებულებების მიუხედავად, მონაწილე მხარე,მ რომელშიც 1994 წ. 15 აპრილისათვის მოქმედებდა და განაგრძობს მოქმედებას ავტორებისათვის სამართლიანი ანაზღაურების სისტემა მათი ნაწარმოებების კომერციული გაქირავებისათვის, რომლებიც ფონოგრამებშია განხორციელებული, შეიძლება შეინარჩუნონ ეს სისტემა იმ პირობით, რომ ფონოგრამებში განხორციელებული ნაწარმოებების კომერციული გაქირავება არსებით ზიანს არ აყენებს ავტორების რეპროდუცირების უფლებას.

მუხლი 8

საჯარო გადაცემის უფლება

ბერნის კონვენციის მუხლების 11(1)(ii), 11*bis* (1)(i) და (ii), 11*ter* (1)(ii), 14 (1)(ii) და 14*bis* (1) დებულებების შელახვის გარეშე, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ავტორები სარგებლობენ განსაკუთრებული უფლებით გასცენ თავიანთი ნაწარმოებების ნებისმიერი საჯარო გადაცემის ნებართვა, სადენით ან უსადენო კავშირგაბმულობის მეშვეობით, თავიანთი ნაწარმოებების საჯარო გაცნობის ჩათვლით იმგვარად, რომ საზოგადოების წევრებს შეუძლიათ ამ ნაწარმოებების ხელწვდომა მათ მიერ ინდივიდუალურად შერჩეული ადგილიდან და შერჩეულ დროს.

მუხლი 9

ფოტოგრაფიული ნაწარმოებების დაცვის ხანგრძლივობა

ფოტოგრაფიულ ნაწარმოებებთან მიმართებით მონაწილე მხარეები არ იყენებენ ბერნის კონვენციის მუხლის 7(4) დებულებებს.

მუხლი 10

შეზღუდვები და გამონაკლისები

(1) მონაწილე მხარეებს შეუძლიათ თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობაში გაითვალისწინონ ავტორებისათვის ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების შეზღუდვები ან გამონაკლისები გარკვეულ განსაკუთრებულ შემთხვევებში, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას და უსაფუძვლოდ არ ლახავს ავტორის კანონიერ ინტერესებს.

(2) მონაწილე მხარეები ბერნის კონვენციის გამოყენებისას შემოფარგლავენ მასში გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვებსა ან გამონაკლისებს გარკვეული განსაკუთრებული შემთხვევებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას და უსაფუძვლოდ არ ლახავს ავტორის კანონიერ ინტერესებს.

მუხლი 11

ვალდებულებები ტექნიკურ ღონისძიებებთან დაკავშირებით

მონაწილე მხარეები უზრუნველყოფენ ადეკვატურ სამართლებრივ დაცვას და სამართლებრივი დაცვის ეფექტურ საშუალებებს არსებული ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლის წინააღმდეგ, რომლებიც გამოიყენება ავტორების მიერ მათი უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებით ამ ხელშეკრულების ან ბერნის კონვენციის შესაბამისად და რომლებიც ზღუდავენ ქმედებებს მათ ნაწარმოებებთან მიმართებით, რომლებიც არაა ნებადართული შესაბამისი ავტორების მიერ ან კანონით.

მუხლი 12

ვალდებულებები უფლებების მართვის ინფორმაციასთან დაკავშირებით

(1) მონაწილე მხარეები უზრუნველყოფენ ადეკვატურ სამართლებრივ დაცვას და სამართლებრივი დაცვის ეფექტურ საშუალებებს ნებისმიერი პირის წინააღმდეგ, რომელიც შეგნებულად სჩადის რომელიმე შემდეგ ქმედებას ისე, რომ იცის ან, სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენებასთან მიმართებით, აქვს საკმარისი საფუძველი იცოდეს, რომ ეს გამოიწვევს, საშუალებას მისცემს, ხელს შეუწყობს ან დამალავს ამ ხელშეკრულებით ან ბერნის კონვენციით გათვალისწინებულ რომელიმე უფლებას:

(i) უფლებების მართვის ნებისმიერი ელექტრონული ინფორმაციის ამოღება ან შეცვლა ნებართვის გარეშე;

(ii) ნაწარმოებების ან ნაწარმოებების ასლების გავრცელება, გასავრცელებლად იმპორტირება, გადაცემა ან საჯარო გადაცემა ნებართვის გარეშე იმის გაცნობიერებით, რომ უფლებების მართვის ელექტრონული ინფორმაცია ამოღებულია ან შეცვლილია ნებართვის გარეშე.

(2) „უფლებების მართვის ინფორმაცია“, როგორც ამ მუხლშია გამოყენებული, ნიშნავს ინფორმაციას, რომელიც ახდენს ნაწარმოების, ნაწარმოების ავტორის, ნაწარმოებზე ნებისმიერი უფლების მფლობელის იდენტიფიცირებას, ან ინფორმაციას ნაწარმოების გამოყენების პირობების შესახებ, და ნებისმიერ რიცხვებს ან კოდებს, რომლებიც წარმოადგენს ასეთ ინფორმაციას, როცა ინფორმაციის რომელიმე ელემენტი ერთვის ნაწარმოების ასლს ან ჩნდება ნაწარმოების საჯარო გადაცემასთან დაკავშირებით.

მუხლი 13

გამოყენება დროში

მონაწილე მხარეები იყენებენ ბერნის კონვენციის მუხლის 18 დებულებებს ამ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული დაცვის ყველა სახეობის მიმართ.

მუხლი 14

დებულებები უფლებების განხორციელების შესახებ

(1) მონაწილე მხარეები იღებენ ვალდებულებას თავიანთი სამართლებრივი სისტემების შესაბამისად მიიღონ ამ ხელშეკრულების გამოყენების უზრუნველყოფისათვის საჭირო ზომები.

(2) მონაწილე მხარეები უზრუნველყოფენ, რომ მათი კანონმდებლობით გათვალისწინებულია უფლებების განხორციელების პროცედურები ისე, რომ შესაძლებელია ეფექტური ქმედების განხორციელება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის ნებისმიერი აქტის წინააღმდეგ, მათ შორის სწრაფი ღონისძიებები დარღვევების თავიდან ასაცილებლად და ღონისძიებები, რომლებიც წარმოადგენს შემდგომი დარღვევების შემაკავებელ საშუალებებს.

მუხლი 15 **ასამბლეა**

(1)

(ა) მონაწილე მხარეებს აქვთ ასამბლეა.

(ბ) თითოეული მონაწილე მხარეს წარმოადგენს ერთი დელეგატი, რომელსაც შეიძლება დაეხმარონ შემცვლელი დელეგატები, მრჩევლები და ექსპერტები.

(გ) თითოეული დელეგაციის ხარჯებს გაიღებს მონაწილე მხარე, რომელმაც დანიშნა დელეგაცია. ასამბლეამ შეიძლება სთხოვოს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას (შემდეგომში - „ისმო“) გასწიოს ფინანსური დახმარება იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს მონაწილე მხარეების დელეგაციების მონაწილეობას, რომლებიც მიჩნეულნი არიან განვითარებად ქვეყნებად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად ან წარმოადგენენ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ქვეყნებს.

(2)

(ა) ასამბლეა განაგებს ყველა საკითხს, რომელიც დაკავშირებულია ამ ხელშეკრულების შენარჩუნებასა და განვითარებასთან, ასევე მის გამოყენებასა და ფუნქციონირებასთან;

(ბ) ასამბლეა ასრულებს მუხლის 17(2) შესაბამისად მისთვის დაკისრებულ ფუნქციას გარკვეული სამთავრობათშორისო ორგანიზაციების ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის დაშვებასთან დაკავშირებით;

(გ) ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებას ამ ხელშეკრულების გადასინჯვის თაობაზე ნებისმიერი დიპლომატიური კონფერენციის მოწვევასთან დაკავშირებით და ისმო-ს გენერალურ დირექტორს აძლევს საჭირო ინსტრუქციებს ასეთი დიპლომატიური კონფერენციის მომზადებისათვის.

(3)

(ა) თითოეულმა მონაწილე მხარეს, რომელიც არის სახელმწიფო, აქვს ერთი ხმა და შეიძლება მისცეს ხმა მხოლოდ თავისი სახელით.

(ბ) ნებისმიერი მონაწილე მხარეს, რომელიც არის სამთავრობათშორისო ორგანიზაცია, შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ხმის მიცემაში, თავისი წევრი სახელმწიფოების მაგივრად, იმ პირობით, რომ ხმების რაოდენობა უდრის მისი წევრი სახელმწიფოების რაოდენობას, რომლებიც არიან ამ ხელშეკრულების მხარეები. ასეთი სამთავრობათშორისო ორგანიზაცია არ იღებს მონაწილეობას ხმის მიცემაში, თუ მისი რომელიმე წევრი სახელმწიფო იყენებს თავის ხმის უფლებას, და პირიქით.

(4)

(ა) ასამბლეა იკრიბება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ რიგით სესიაზე გენერალური დირექტორის მოწვევით.

(5) ასამბლეა განსაზღვრავს საკუთარი პროცედურის წესებს, მათ შორის რიგგარეშე სესიების მოწვევასთან, კვორუმის მოთხოვნებთან და, ამ ხელშეკრულების დებულებების გათვალისწინებით, სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო უმრავლესობასთან დაკავშირებით.

მუხლი 16

საერთაშორისო ბიურო

ისმო-ს საერთაშორისო ბიურო ასრულებს ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს.

მუხლი 17

ხელშეკრულებაში მონაწილეობის უფლება

(1) ისმო-ს ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია გახდეს ამ ხელშეკრულების მხარე.

(2) ასამბლეას შეუძლია გადაწყვიტოს ნება დართოს ნებისმიერ სამთავრობათშორისო ორგანიზაციას ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც განაცხადებს, რომ იგი კომპეტენტურია ამ მიმართებით და აქვს საკუთარი, მისი ყველა წევრი სახელმწიფოსათვის სავალდებულო კანონმდებლობა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით და რომ ის არის სათანადოდ უფლებამოსილი თავისი შიდა პროცედურების შესაბამისად, რათა გახდეს ამ ხელშეკრულების მონაწილე.

(3) ევროპის კავშირს, მას შემდეგ, რაც გააკეთებს წინა პუნქტში მითითებულ განცხადებას დიპლომატიურ კონფერენციაზე, რომელმაც მიიღო ეს ხელშეკრულება, შეუძლია გახდეს ამ ხელშეკრულების მონაწილე.

მუხლი 18

უფლებები და ვალდებულებები ხელშეკრულების შესაბამისად

ამ ხელშეკრულებაში რაიმე სპეციალური დებულების გათვალისწინებით საპირისპიროს შესახებ, თითოეული მონაწილე მხარე სარგებლობს ყველა უფლებით და იღებს თავის თავზე ყველა ვალდებულებას ამ ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 19

ხელშეკრულების ხელმოწერა

ეს ხელშეკრულება ღიაა ხელმოსაწერად 1997 წლის 31 დეკემბრამდე ისმო-სა და ევროპის კავშირის ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს მიერ.

მუხლი 20

ხელშეკრულების ძალაში შესვლა

ეს ხელშეკრულება შედის ძალაში სამი თვის მერე მას შემდეგ, რაც სახელმწიფოებმა განახორციელეს რატიფიკაციისა ან მიერთების 30 სამართლებრივი აქტის დეპონირება ისმო-ს გენერალურ დირექტორთან.

მუხლი 21

ხელშეკრულებაში მონაწილეობის ძალაში შესვლის თარიღი

ეს ხელშეკრულება სავალდებულოა:

(i) მუხლში 20 მითითებული 30 სახელმწიფოსათვის იმ თარიღიდან, როცა ეს ხელშეკრულება შევიდა ძალაში;

(ii) თითოეული სხვა სახელმწიფოსათვის სამი თვის გასვლის შემდეგ იმ თარიღიდან, როცა სახელმწიფომ განახორციელა თავისი სამართლებრივი აქტის დეპონირება ისმო-ს გენერალურ დირექტორთან.

(iii) ევროპის კავშირისათვის მისი რატიფიკაციისა ან მიერთების სამართლებრივი აქტის დეპონირებიდან სამი თვის გასვლის შემდეგ, თუ ასეთი სამართლებრივი აქტი დეპონირებულ იქნა მუხლის 20 შესაბამისად ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, ან ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან სამი თვის შემდეგ, თუ ასეთი სამართლებრივი აქტი დეპონირებულ იქნა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე;

(IV) ნებისმიერი სხვა სამთავრობათშორისო ორგანიზაციისათვის, რომელიც დაშვებულია ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობისათვის, მისი მიერთების სამართლებრივი აქტის დეპონირებიდან სამი თვის გასვლის შემდეგ.

მუხლი 22

ხელშეკრულებაში დათქმების დაუშვებლობა

ამ ხელშეკრულებაში არაა დაშვებული არავითარი დათქმები.

მუხლი 23

ხელშეკრულების დენონსირება

ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია ამ ხელშეკრულების დენონსირება ისმო-ს გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილი შეტყობინებით. ნებისმიერი დენონსირება ძალაში შედის ერთი წლის შემდეგ იმ თარიღიდან, როდესაც ისმო-ს გენერალურმა დირექტორმა მიიღო შეტყობინება.

მუხლი 24

ხელშეკრულების ენები

(1) ამ ხელშეკრულებას ხელს აწერენ ერთ პირად ინგლისურ, არაბულ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ენებზე, და ყველა ტექსტი თანაბრად ავთენტურია.

(2) ოფიციალურ ტექსტს ნებისმიერ ენაზე, გარდა პუნქტში (1) მითითებული ენებისა, შეიმუშავებს ისმო-ს გენერალური დირექტორი, დაინტერესებული მხარის თხოვნით, ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციების შემდეგ. ამ პუნქტის მიზნებისათვის „დაინტერესებული მხარე“ ნიშნავს ისმო-ს ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს და ნებისმიერ სხვა სამთავრობათშორისო ორგანიზაციას, რომელიც შეიძლება გახდეს ამ ხელშეკრულების მონაწილე, თუ საქმე ეხება მის ერთ-ერთ ოფიციალურ ენას.

მუხლი 25

დეპოზიტარი

ამ ხელშეკრულების დეპოზიტარი არის ისმო-ს გენერალური დირექტორი.